9 (47.922) „7" (009)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე ჯანაშვილი

მეფე ერეკლე

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა





ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ. ქუჩ., 21.
Типографія М. Шарадзе, Николаевская ул. 21.
1898

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Декабря 1897 г.

FS 5755

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლე

(1718 წ.—1798 წ. 11 იანვარს)

—

ერეკლე მეფის ოჯახის ამბავი

ერეკლე იყო მეფის თეიმურაზ მეორის შვილი. დედა მისი იყო თამარი, ასული მეფის ვახტანგ მეექვსის სჯულ-მდებელისა. თეიმურაზიცა და ვახტანგ სჯულ-მდებელიც საკმაოდ განათლებულნი და გამეცნიერებულნი მეფენი იყვნენ. ვახტანგის სამეფო კარზედ მოღვაწეობდა მთელი გუნდი მეცნიერთა. ამ წრეში აღზრდილი ბატონიშვილი თამარი, დედა ერეკლესი, აგრეთვე სიბრძნის მოყვარე ადამიანი იყო და ამასთან ფრიად კეთილი, კაცთმოყვარე და ლმობიერი ხასიათი ჰქონდა. პირველი წლების—ყრმობის ხანა—ერეკლემ გაატარა თავისს დედ-მამის ოჯახში და აქ ისწავლა სახელმწიფო კაცის შესაფერნი ზნენი და ჩვეულებანი. თუ როგორ გამოიყენა ერეკლემ ამ სკოლიდგან გამოტა-

ნილი ცოდნა-მეცნიერება და ცხოვრებაში შეძენილი სიბრძნე, ამას ჩვენ ქვემოდ დავასახელებთ, ხოლო აქ ისევ ამ მეფის შინაურ ცხოვრების აღწერას შევუდგეთ.

ერეკლეს შინაურ ცხოვრების შესახებ მცირე ცნობა შენახულა.

ერეკლე ჯერ ისევ მცირე-წლოვანი ჰაბუკი ყოფილა, როდესაც მას ცოლად შეურთავს ქეთევანი, ასული ვახტანგ ყაფლანიშვილისა. რაღაც მიზეზებისა გამო ერეკლე მალე გაჰყრია ქეთევანს, რომელსაც ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია; იგი გარდაცვლილა ახალგაზდობაშივე.

ქეთევანის სიკვდილის შემდეგ ერეკლემ შეირთო (1744 წ.) ანნა, ასული ზაალ აბაშიძისა. ანნასაგან მიეცნენ შვილები გიორგი (შემდეგში მეფე გიორგი მეთორმეტე) და თამარი. ეს ანნაც მალე გარდაიცვალა (1749 წელს) და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სვეტიცხოველში. ამის შემდეგ ერეკლემ ცოლად მოიყვანა სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის ასული დარეჯან, რომლისაგან დაიბადნენ ბატონიშვილნი: ლევან, იულონ, ვახტანგ (კრწანისის გმირი), ანტონი, მირიანი, ალექსანდრე, მარიამი, ქეთევანი, ანასტასია, ეკატერინე, თეკლე და ელენე.

ერეკლეს ოჯახის ამბავი საკმაოდ გარკვეული გვაქვს „საქართველოს“ ისტორიაში (გვ. 473—496), ხოლო აქ კიდევ ვიტყვით ორიოდ სიტყვას ამ მეფეს ოჯახის წევრთა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლეს პირმშო შვილი და ტახტის მემკვიდ-
რე გიორგი ორჯელ იყო შეუღლებული. ანდრო-
ნიკაშვილის ასულის ქეთევანისაგან ჰყვანდა შვილები:
დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, სოფიო, ნინო
(შემდეგში სამეგრელოს დედოფალი, მეუღლე მთავ-
რის გრიგოლ კაციას ძისა), რიფსიმე, გაიანე, ბარ-
ბარე; გიორგი ციციშვილის ასულის მარიამისაგან:
მიხეილ, ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ერეკლე, თა-
მარ და ანნა.

ბატონიშვილთა სიმრავლემ ნათესაობრივის კავ-
შირით გადაბა საქართველოს წარჩინებულ გვართა
ოჯახები სამეფო სახლის წარმომადგენლებთან და ამ-
გვარივე კავშირი დაიდო შორის ტახტებისა: ამერე-
თისა, იმერეთისა და სამეგრელოსი. ესრეთი კავშირი
ფრიად დიდს სარგებლობას უქადდა საქართველოს,
მისს გაერთიანებასა და გაძლიერებას; სამწუხაროდ ეს
ასრე არ მოხდა, რადგან სამეფო გვარში დამკვიდრდა
ორსულობა და ორგულობა. ერეკლეს ოჯახში
გაჩნდა ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ბანაკი—
დარეჯან დედოფლისა და მისის გერის გიორგი ბა-
ტონიშვილისა. დარეჯანსა და მისს შვილებს სძულდათ
გიორგი, რადგან იგი მძიმე ხასიათის კაცი იყო და
სახელმწიფოს მმართვის ნიჭი და უნარი არა ჰქონდა.
დარეჯანს ჰსურდა ერეკლეს სიცოცხლეშივე შეეშა-
ლა მემკვიდრეობითი წესი მეფობისა, იგი სცდილობდა
ერეკლესაგან აეღო დასტური, რათა ძმებს მამის სიკვ-
დილის შემდეგ ემეფნათ ჩამორიგებით, უფროს-უმც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსობის მიხედვისამებრ, ხოლო გიორგე, რომელიც კანონიერი მემკვიდრე, ამის წინააღმდეგ — იყო და სწადდა არ დარღვეულიყო ძველი წესი მეფობისა. ამგვარმა განხეთქილებამ თითქმის მთელი საქართველოც გაჰყო ორ დიდ ბანაკად, რომელთაგან ერთი მომხრეობდა დარეჯანს და მეორე გიორგის.

ერეკლემ თავისს სიცოცხლეშივე შვილებს გაუყო საუფლისწულოები: ვახტაგს მისცა არაგვი, იულონს გორი და მებრვე სხვა ბატონიშვილებსაც. ბატონიშვილები რომ დაბინავდნენ თავიანთ საუფლისწულოებში, უფრო გაძლიერდნენ და გათამამდნენ. თითქმის ყოველს ბატონიშვილს ჰყვანდა საკუთარი ჯარი და ჰქონდა საკუთარი ჯაბახანა, ციხე-კოშკები. ამ ჯარისა, ჯაბახანისა და ციხე-კოშკების მოიმედე ბატონიშვილებს წინ, თავისის მამის გარდაცვალების შემდეგ, ეხატებოდათ დამოუკიდებელის ცხოვრების სიტკბოება...

ერეკლეს იმედი და ნუგეში იყო მისი შვილიშვილი, კაცი მეომარი, გულოვანი, სამხედრო საქმის ზედ-მიწევნით მცოდნე, საქართველოში „მორიგე ჯარის“ დამწესებელი და თავზარ დამცემი მტერთა. ერეკლესა და საქართველოსაც დიდი იმედი ჰქონდათ ამ ლევანისა, მისი მოიმედე ერეკლე დიღს გეგმებს ადგენდა, ხოლო ქართველობა შეეხაროდა მას, კავკასიონის გადალახვასა და დაღისტანის დამორჩილებას უქადდა, ყველანი იძახოდნენ: „ხმალი სჭრის ბაგრატოვანის მეფის ერეკლისაო, ნეტავი გამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო; აჯობა თავისს მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო: ურჯულოსა მოამტვრია, როგორც ნაპირი ტყისაო. თუ ლევან იქით მიბრუნდა, საქმე სჭირს დალისტნისაო“.

ეს იმედ-ნუგეში, ეს სასოება ქართველი ერისა უდროოდ ჩაესვენა საფლავსა. ლევანი, როგორც ამბობენ, ღალატმა გამოასალმა ამ წუთი-სოფელს (1782 წელს). ამ დროს იგი სულ 30 წლის ვაშკაცი იყო. ლევანის დაკარგვას მწარედ იგლოვდა ერეკლე და საქართველო. თვით დაუძინებელი მტერი ქართველებისა—სამცხის ათაბაგი სულეიმან ფაშა, რომელსაც მიუტანეს ლევანის სიკვდილის ამბავი, დაღონდა და თავის ქართველურის გულით ამოიკვნესა: „მარჯვენა მკლავი მოეჭრა ერეკლეს. ქვეყნის ერთად-ერთი საფარველი და ნუგეში გარდაეცვალა. ეხლა-კი საქართველო დაიღუპა“.

ამავე ჰანგზედ ამოიკვნესს პოეტიც:

მეფისა დროშით სად მიხვალ,
ჰე ლევან, სულით ნათელო!
შენ მხოლოდ მამის იმედო,
უდროდ მზე დაბნელებულო!
შეირყა ტახტი მეფისა,
შთახვედ რა საფლავს ლომ-გულო!

საქართველოს უბედობის მიზეზი მრავალი იყო და უმთავრესი მიზეზი კი იყო შუღლი და მტრობა ბატონიშვილებსა, რომელნიც ერთმანეთს არ ინდობდნენ, ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ და ამ ჭიშპობისაგა-

მო სამბშოლოს ზრუნვა ავიწყდებოდათ. ხოლო წინადაც საქართველოში ბევრჯელ ყოფილა განხეთქილება სამეფო გვარში, მაგრამ ამ განხეთქილებასა და შუღლს ქართველთათვის არ მოუსპია თავისუფლება, დამოუკიდებელი ცხოვრება... ერეკლეს ოჯახში და საქართველოში იყვნენ მრავალნი, რომელთაც პირნათლად შეეძლოთ სახელმწიფოს მართვა და პატრონობა. სხვა რომ არა ვსთქვათ, ამგვარი სახელმწიფო კაცი, მეფე კაცი, იყო, მაგალითად, გიორგი მეფის შვილი დავითი, ახოვანი, ძლიერი, შემმაერთებელი, კანონიერი მემკვიდრე ტახტისა და საქართველოს გამგედ დანიშნული მამის სიკვდილის შემდეგ...

ერეკლეს ხასიათი.

—

ერეკლე შუათანა ტანის კაცი იყო და ამასთან ფრიად მარდი, მოძრავი, გულოვანი, ძლიერი, ფალავანისებური. გენერალი პოტემკინი, რომელიც საქართველოში იყო 1784 წელს, ამბობს: „ერეკლე შუა ტანისაა, ცხარე ხასიათი აქვს. თვალის გამომეტყველება მისი კვირცხლია, არწივისებური; თავისთან მოსაუბრეს შუბლ-შეკრულ-შეჭმუხვნილად აცქერდება და ჰსურს გამოიცნოს მოსაუბრის გულის ნაფები. მეფე 62 წლისაა და მოხუცებულობისა გამო ცოტათი ტანში წახრილია. ერეკლე ერთი იმ კაცთგა-

ნია, რომელსაც ყველაზედ მომეტებულად შეუძლია ისეთი პასუხი მოგცეს, რომ ერთსა და იმავე დროს ჰოც გამოდიოდეს და არაც. სამაგალითო მოთმინება იცის. სამაგალითო სიმხნეევ აქვს. მთელი ღამე ფხიზლობს და მარტოდ წარმართავს სამეფო საქმეებს. სძინავს ცოტა. აზიის პოლიტიკაში ფრიად გამოცდილია. ელტვის თავისი ერი ევროპიულ წესზედ მოაწყოს, გაანათლოს. ღვთის მოსავია ისრე, რომ ყოველ დღე ღვთის მსახურებას ისმენს. თავის სამეცადინეო და სამუშაო ოთახში ორ-ორი საათი ლოცულობს. როცა ლოცვაზედ დგას, მისს ყურადღებას ვერავითარი შემთხვევა ველარ მიიზიდავს და ველარ მიიპყრობს".

მეფეს უყვარდა ცხენზედ ჯდომა და სამეფოს დათვალიერება. საჯდომად მას ჰყვანდა ორი ტაიჭი-თეთრი და წითელი. ერთხელ ერეკლე თავის ამალით ქალაქ თელავიდგან ტფილისისაკენ გამოემგზავრა. გზაზე ჩასაფრებულნი ლეკნი შეეფეთნენ. ეცნენ კახნი და ამოსწყვიტეს ლეკნი. თავები დასჭრეს, წამოიღეს და წამოვიდნენ ქალაქისაკენ. ქალაქს რომ მოუახლოვდა, გაეგებნენ ქართველნი, დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი. „შეასხეს ქება, ვითა შვენოდა, თავნი ლეკთანი წინ მოუძღოდა და ჯარი აქეთ-იქით დასად მოსდევდა. თითონ ერეკლე მარტივად მობრძანდებოდა, მაგრამ, თქვენმა მზემ, ერთი უკეთესი სანახავი კაცის თვალს აღარა ენახვებოდა. წითელსა ტაიჭსა იჯდა; ქარქაშ ხილფითა, ოქროთა მოჭედი-

ლი, წელთა ერტყნეს. კაცს მისი შეხედვა განალიგებდა. სუმბულნი (წვერ-ულვაში) ახლად აშლოდეს, ვარჯნი (თავის თმა) თხემთა დაშლოდეს გარე-მოცვითა. ვარდნი სანდომად გაშლოდეს. ტან-კვიპაროზი გმირ-ფალავნურად აღზრდოდეს... ყოველის კეთილით და ხელმწიფურის ქცევა-მოდინარობით სრულიყო. უცხოთაგანაც დიდად სატრფიალო და საყვარელი იყო".

ტფილისსა და თელავში ერეკლეს ჰქონდა სასახლეები. თელავში მყოფობის დროს მას უყვარდა სასახლის ეზოში, მუხის ქვეშ მოსვენება და ამ დროს იგი ისმენდა საჩივრებს. მართლ-მსაჯულობა მას მეტად უყვარდა. თუმცა ჰყვანდა მსაჯულები და მსაჯულთ-უხუცესები, ვითარცა გამოჩენილი სოლომონ ლეონიძე, მაგრამ მაინც თვითონაც ასამართლებდა ყველას, ვინც კი მას მიჰმართავდა. ხოლო მასთან მისვლის ნება ყველას ჰქონდა, განურჩევლად წოდებისა და შთამომავლობისა. გლეხისა და თავადისთვისაც მისი კარი ყოველთვის ღია იყო. ვის არ ახსოვს ის ამბავი, ფშავ-ხევსურთ ერეკლეს რომ კაცი გამოუგზავნეს (1795 წელს) და დააბარეს: „აგრე იარე მცხეთამდის. ბატონთან რომ მიხვალ, მიესალამე. ბატონი გაგიცინებს. მისი სიცილი ჩვენი ერის ბედნიერებაა; ჩვენი აჯა მოახსენე, ხოლო ნუ ჩაახვევლებ, ბატონს ეწყინება. მოახსენე, სიბერეს ნუ შეუშინდება. გაშალოს დროშა მძლეველი" და სხვ. თვით ფულზედაც კი მეფემ გამოახატვინა სასწორი ნიშნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა, რომ მისნი ქვეშევრდომნი დაცულნი არიან უმართლოებისაგან. ერთი საჩივრის გამო, ბოლომდის გასარჩევად მეფეს არ ეცალა, ერეკლე სწერს მსაჯულებს: „ბატონნო მსაჯულნო! ეს საჩივარი განიხილეთ ფთხილად და მოწიწებით, გამოიძიეთ და გამოიკვლიეთ ყოველივე, რომ რამე უბედურება არ დატრიალდეს...“

ერეკლეს ზრუნვა ერის გასანათლებლად.

ერეკლე ერთი იმ მეფეთაგანი იყო, რომელსაც უყვარდა გარს ჰხვეოდა ქვეყნისათვის თავდადებული და წარჩინებული კაცები. ამგვარნი პირნი იყვნენ, მაგ., დიდად განათლებული ანტონი I, კათალიკოსი, სოლომონ ლეონიძე და მრ. სხვანი. თუმცა სახელმწიფოს მოურნეობა განაწილებული ჰქონდა, მაგრამ ზედამხედველობა სახელმწიფოს ყოველ საქმეში— სარდლობაა იგი, თუ ხალხის განათლება, მართლ-მსაჯულება და ეკკლესიის წარმართვა—თვითონ ებარა. ბუტკოვი ამბობს, რომ, თუმცა ერეკლეს ნიჭიერი მმართველები ჰყვანდა, მაგრამ მაინც იგი ყოველ საქმეში იღებდა მონაწილეობასაო, სახელმწიფოს შენობის უზენაესი საზრისი, მოსამართავი და კვალში ჩასაგდები საქე მარტო მას ეპყრა ხელშიო, იგი მუდამ იმის ზრუნვასა და ფიქრში იყო, რომ საქართველოში შემოელო ევროპიული წეს-წყობილობა და თვისი

ერი ევროპიულად გაენათლებინაო. ამ მხრივ საყურადღებოა თვით ლეონიძის მოწმობა. ეგი ამბობს: „ერეკლე თავი გამგებელი იყო, ყოველთათვის საზოგადო მამა, მხნე მამა, ქვეყნის სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავარი, სახელმწიფო ზრდილობის საუნჯე, ობოლთა მზრდელი, მტერთა მომგერებელი მკლავი, შრომის მოყვარე გვამი, სიამაყე და დიდება ქართველთა, თავზარ დამცემი სპარსთა, ოსმალთა და კავკასიის ერთა, კაცი, რომლის ხელმწიფური ქცევა ყოველ ქართულს ოჯახში შეიქმნა სადიდებელი, რომლის სადღეგრძელოდ ყოველს ოჯახში ისმოდა სადღეგრძელო-სადიდებელი, რომლის ტახტზედ ჯდომით საქართველო იდიდა, ამაღლდა, გაბედნიერდა. ერეკლეს მეოხებით ცანი ქუხილით გრგვინვიდენ ძალსა საქართველოსასა, სფერა ქვეყნისა ძრწოდა ფერხთა ქვეშე მისთა“.

ეს გაზვიადებად არ მოგვეჩვენება, თუ მოვიგონებთ ლეკების ბეჭითისა და ხიშერხის საზოგადოებათა წერილს, ერეკლისადმი წარმოგზავნილს. ლეკნი სწერენ მეფეს: „შენი დიდება გავრცელდა ხალხში შენის მართლ-მოყვარეობითა და მოწყალეობით. საუკუნო ჰყოს ღმერთმან შენი სამეფო. ღმერთმა აღგისრულოს ყოველი წადილი და მისწრაფება ამიერიდგან უკუნისამდე. ვინც ჩვენგან მშვიდობას დაარღვევს და შენს წინააღმდეგ იმოქმედებს, დიდად დაისჯება“ (акты арх. ком., ტ. I, გვ. 77).

ერეკლეს მეოხებით საქართველოში ბევრგან გაიმართა სკოლები, სემინარიები, დაარსდა სტამბა, გაკეთდა ვანილ იქმნა არხები, დაარსდა თოფხანა, ზარაფხანა და სხვ. 1762 წელს ერეკლე სწერს ნეკრესის მაღალ განათლებულ ეპისკოპოსს დოსითეოსს: „იცოდეთ, მე ძლიერ მესიამოვნება, თუ თქვენ არ მოაკლებთ მეცადინეობას სკოლის წარმატებასაო. შემატყობინეთ, რა მდგომარეობაშია, როგორ წარიმართვის სასწავლებელი“. ამავე დროს გამოიცა საყოველთაო განკარგულება: „მღვდელობა არ მიეცეს იმას, რომელსაც არ უსწავლია საკმაოდ, რომელსაც სახარების წაკითხვა საყდარში კარგად არ შეუძლია; ეპისკოპოსნი მოვალენი არიან, რათა თავიანთ სამწყსოთ ასწავლონ წერა-კითხვა“. ერეკლე იყო თავი ანუ, როგორც უცხოელნი ამბობენ, „მეცენატი“ განათლებისა. ამ დროს დაიბადნენ მრავალნი მოღვაწენი, გუნდნი პოეტთა, ორატორთა, ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და სხვ. „ისტორიკოსის ბესიკ გაბაშვილის სატირაო, ამბობს ბროსე, ბასრია, ვითარცა შუბის წვერი, მისი რომანსები სინაზე-სინარნარითა და გრძნობით სავსენი არიანო“.

ამ მოძრაობამ დაჰბადა ერში დიდი სიყვარული მამულისშვილობისა და მეფის მოყვარეობისა.

არა არს-რა ესრედ ტკბილი,
ვით მამულის სიყვარული-ო.

ამბობს დიდად განათლებული დოსითეოზი, ის დოსითეოზი, რექტორი თელავის სემინაარიისა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ასე ამკობს ერეკლეს: „სარგებლობა მეცნიერებისა არ დაფარულ არს ყოვლად ბრძნისა მხედველობისაგან კეთილ-მსახურისა მეფისა ჩვენისა ერეკლე მეორის. ყოველი ესე ყვავილოვნება მეცნიერებისა შემოკრებულ არს გუგასა შინა განათლებულისა თვალისა მისისათა. ერეკლემ თჳს დღეგრძელ მეფობის დროს სცნო, თუ რაგვარი ბედნიერება გამოვალს მეცნიერების შესწავლისაგან და ამიტომაც ისურვა ამ სასწავლებლის დაარსება და ხალხის განათლება, ინება ქართველთა განშვენება, განსვენება და გამდიდრება, არა ვითარცა მონათა, არამედ ვითარცა საყვარელ შვილთა. სიბრძნითა და მეცნიერებით გადმოჰფენს ერზედ თჳს ხელმწიფებრივ მოწყალებასა და მფარველობას. ვინ იქნება ისეთი გულქვა, რომ ამ კაცთ-მოყვარე ხელმწიფის ერთგული ტყვე არ იქმნას! უნდა ვმადლობდეთ მეფეს და ვახარებდეთ ჩვენის წარმატებითა“.

ერეკლეს სახელი და ზავთი

ერეკლეს ზავთი და სახელი შორეულ ქვეყნებშიაც განითქვა. თვით ქართველებმა იგი დაადარეს მთელს კახეთს და „პატარა კახი“ დაარქვეს. ლეონიძე ამბობს, რომ ერეკლეს გმირული მოქმედება პრუსიის მეფეს ფრიდრიხ დიდს აკვირვებდაო. ერეკლეს ხმლის კვეთა, მისი ზავთიანი სიტყვა გრგვინავდა სა-

ქართველოს გარშემო მცხოვრებ ერთა შორის. ინ-
დოეთის გმირი ერეკლე, თანამხედარი შაჰნადირისა,
რომლის წინაშე პირქვე ემხობოდნენ მეფენი და მთა-
ვარნი, არ შეუშინდა ამ ყეენს, რომელიც ავალებდა
მას მაჰმადიანობის მიღებას, და უშიშრად უთხრა:
„ჩემი სიკვდილი შეგიძლიან და ეს კი არ შეგიძლიან,
რომ მე ქრისტე მაგმობინო, არას მიზეზით ჩემი გათათ-
რება არ იქნება“. ამისთანა მრისხანე პასუხის გამო
მრისხანე შაჰნადირმა თავი კი არ გააგდებინა „პატარა
კახს“, არამედ ლმობიერად უთხრა: „ნუ გეშინიან, მე
შენ მაგაზედ ძალას არ დაგატანო“.

აი ამ პატარა კახისა, ამ ლომგულის მეფის ში-
ში ჰქონდათ მეზობელ ხალხებს. მეტადრე შიშობდ-
ნენ ერანელნი. ომან მდივან-ბეგი სწერს: „ერეკ-
ლეს მოუვიდა ფეშქაში და ელჩი თავრიზის ხანისა,
ხოის ხანისა, ურუმის ხანისა, მაყაყის ხანისა, მარალის
ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა, ხოლო ყმად მოეცა შამა-
დინ-ალა-ქურთი, ძლიერი კაცი და მრავალთა ქურ-
თთა მეპატრონე, აგრეთვე შორაგელის სულთანი ყა-
რამან მოვიდა და მოერთვა ყმად ყოვლითა შორაგე-
ლისა ხალხით და მამულითა. და ესოდენ გაძლიერ-
და ერევანს ყოფნის ჟამსა მეფე ერეკლე, რომელ
ელოდენ ერანელნი უთუოდ გახელმწიფდება და ერა-
ნის ნაწილებსაც დაიჭერსო, ვინაიდგან ჰქონდათ
ცნობა ნადირ-შაჰთან მყოფობითა და ესმოდათ მარა-
დის სიმხნე მისი და ვერც არავის ჰხედვიდნენ მო-
პირდაპირედ ერეკლე მეფისა, ამისთვის დიდად ჰფიქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობდნენ და ყოველთვის ელოდდენ, რომ ერანისკენ წამოვალ“.

მაგრამ ერეკლე არ წავიდა ერანისკენ, არამედ ქარიმხანს დაეხმარა, რომ იგი გაყეენებულიყო სპარსეთში. ამის შემდეგ ერეკლე მოსვენებას არ აძლევდა ოსმალებს, ჰსურდა სამცხეში მშვიდობიანობა დაემყარებინა, და ათაბაგი სულეიმან ფაშა დაესაჯა. ოსმალეთის ხონთქარს გაუჭირდა საქმე და ყაენს გაუგზავნა ელჩი და შეუთვალა: „თუმცა ჩვენსა და თქვენში არს მშვიდობა და ზავ გვიყოფიეს, გარნა აგიშვიათ ერთი ლომი საქართველოს მეფე ირაკლი და აოხრებს მარადის ქვეყნებსა ჩემსა და მის გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლისათვის მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესე ვითარისაგან მძლავრებისა“.

მსმენელი ამისი ქარიმხან ეტყოდა ვეზირთა თვისთა და ადირბეჟანის ხანებს, რომელნიც აბეზღებდენ ერეკლეს: „შეეხედეთ მეფე ერეკლეს. მე მეფე ერეკლე როგორ არ უნდა მიყვარდეს, რაც ჩემთვის უმსახურნია. ამას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რომ ხვანთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებსო. ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატივ-საცემელ არისო“. ამისათვის ქარიმ-ხანმა მეფეს განუახლა სიყვარული და მოსწერა წიგნი და წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროს იარაღის აღკაზმულობითა.

FS 5755
ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლეს ომები.

თავისს სიცოცხლეში ერეკლეს გადაუხდია 64 დიდი ომი და, თითქმის ამდენივე ჯერ გაუმარჯვნია წვრილ-წვრილ შეტაკებაში. საკვირველი ის არის, რომ ამ ომებში ერეკლეს არც ერთი ჭრილობა არ მიუღია. მეფე თუმცა სულ მუდამ მოწინავე ლაშქარში იყო და მოწინავეთა შორის იბრძოდა, მაგრამ მაინც მტრის ტყვია და ხმალი ვერ მიეკარა მას. ისე უვნებლად გამოდის ერეკლე ბრძოლის ველიდამ, რომ უნებლიედ იჯერებ მას ჰფარავს განგების იდუმალი ძალაო. ისიც გასაკვირველია, რომ ამდენ ომებში ერეკლეს მარტო ორჯელ დაუმარცხდა—ერთხელ, როდესაც იგი, მოკავშირეთა ღალატის გამო, დაამარცხა აჯი-ჩალაბმა და მეორედ, როდესაც ტფილისს შემოესია ალა-მაჰმად-ხანი 70,000 მეომარით.

ერეკლე ჯერ ისევ 13—14 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც მამა მისმა იგი დანიშნა სარდლად კახეთის ჯარისა. ამ დროიდგან მას აღარ დაუტოვებია ეს ლაშქარი. ჯერ ისევ 14 წლისა იყო ერეკლე, როდესაც შემუსრა ლეკთა ჯარი ქიზიყის ბოლოში. ამის შემდეგ ერეკლეს აღარ დაუსვენია და ამის შემდეგ ეს გმირი ჭაბუკი შეიქმნა ნუგეშ-იმედად ყოველის ქართველისა. მეფე ერეკლე მთლად გაიტაცა იმ აზრმა, რომ როგორმე განდევნოს სამშობლოდგან მისნი მტერნი—ოსმალნი, სპარსნი და ლეკნი. ამ დროს ლეკნი ოსმალთა შემწენი იყვნენ. იგინი დასტა-დასტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდიოდნენ მთების ბილიკებიდგან და ქვეყნის წვა-ბუგვით ახალციხის ფაშასთან მიიპარებოდნენ. ლეკე-ბის მოთავე იყო მათი ბელადი მალაჩი, მაგრამ ერეკლესაც, როგორც ვსთქვით, არ ეძინა. დღე-მუ-დამ იგი სწრთვნიდა თავისს მეომრებს, თავისს „ვე-შაპებს“ და სასტიკ ომს უპირებდა მტრებს. ხალხი მოელოდა რაღაც დიად ამბებს. პოეტი კარგად ახა-სიათებს ამ დროს და ერეკლეს სულის კვეთებას:

აჰა ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა-კახი მეფე ერეკლე!
წარბ შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ-მოწვდენით
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!

ბრძოლა არაგვზედ.

1744 წელს ხონთქარმა გამოგზავნა დიდი ხა-ზინა და ათაბაგს უსუფ-ფაშას დაავალა ეს ხაზინა ლეკების ბელადის მალაჩისთვის ჩაებარებინა და წა-რეგზავნა დაღისტანს ლეკთა მოსაწვევად საქართვე-ლოს დასარბევ-დასაბუგად. მალაჩის, რომელიც ამ დროს ახალციხეში იყო, ჰყვანდა ორი ათასი მეომარი ლ ერთი ამდენიც ჰყვანდა მის მომხრე სულეიმან ფაშას. ამ ჯარს წამოუძღვა მალაჩი, გამოიარა ქართლი, და ჰსურ-და არაგვის ხეობიდგან დაღისტანს წასულიყო. სცნო-

რა ეს ამბავი ერეკლემ, აღარ დაიხანა და სისწრაფით გამოეშურა, რომ შეუკრას გზა გალაღებულს მალაჩის. ერეკლეს მაშინ ჰყვანდა ათასი მეომარი. იგი მტერს ჩაუსაფრდა არაგვის მარცხენა ნაპირას, საგურამოში. მტერი უშიშრად მოდიოდა, რადგან ქართლის ჯარები ამ დროს სხვა ადგილებში იდგნენ. დილა თენდებოდა, ლეკებმა იწყეს არაგვში გაცურვა. ერეკლე გამოუხტა სამალავიდგან და ეკვეთა მტერს, რომელიც უკანვე გაბრუნდა და არაგვის მეორე ნაპირზედ სანგალი შეჰკრა. ერეკლემ აღარ დაახანა. გასცურა არაგვი და მიესია მტრის ბანაკს. მეფის პირველმავე ტყვიამ სული გააყრევინა მალაჩის. ლეკ-ოსმალნი შეშინდნენ და მუხრანისკენ გაიქცნენ. ქართველები ფეხდა-ფეხ მისდევდნენ მათ, ჰკაფავდნენ და ლეწავდნენ წუნკალებს, რომელთა მცირე დასტამ ძლივს-ღა მიაღწია ახალციხემდე. აი ხალხის სიმღერა ამ ამბავის შესახებ:

ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კახია:
საგურამოში ლეკისა
ჯარი მარტომან გახია.

ერეკლეს ლაშქრობათა შორის ყველაზედ შესანიშნავია გალაშქრება ხარგვირაბის ციხის ასაღებად (1749 წ.) ჟარათაფის ომი (1750 წ.), ომი ჯარს (1770 წ. 20 აპრ.) და სხ. ამ ომების შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოიპოვება ჩვენს „საქართვე-

ლოს ისტორიაში“ (გვ. 441—454), ხოლო აქ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ გენიოსური და გმირული ბრძოლა პატარა კახისა აზატ-ხანთან

ბრძოლა აზატ-ხანთან,

გამოჩენილი ნადირ-შაის სარდალი აზატ-ხან, რომელსაც გაყენება ჰსურდა, შემოვიდა ადირ-ბეჟანის ქვეყანაში 40,000 მეომრით და ერთი დიდი რაზმი შემოუსია ერევნის სახანოს, რომელიც საქართველოს სამფლობელოდ ითვლებოდა და ყოველ წლივ იხდიდა 200,000 მანეთ ხარჯს. ამ რაზმმა მოაოხრა ერევნის არე-მარე და ალყა შემოარტყა ერევნის ციხესაც. ერევნელებმა, როგორც ერეკლეს ქვეშევრდომებმა, შეატყობინეს მეფეს თვისი გაჭირვება. ერეკლემ ფიცხლავ შემოიკრიბა 5,000 მეომარი და ერევანს „გადაფრინდა“. აზატ-ხანის რაზმი მოეცალა ერევანს, საცა უკვე დიდი სიყმილი იყო; მეფემ დაამკევინა ყანები, გაალეწინა და 10,000 კოდი პური მიაწოდა დამშეულ ერევნელებს, მერე შარურის იალაღებზედ დადგა და აქედგან გაუსია თავისი ჯარი და მოაოხრებინა არეზს აქეთი მხარე. აზატ-ხანი განძვინდა, აღბორგდა და წამოვიდა თავის ჯარით, რომელთაგან 18,000 შუბოსანი იყო. მას ჰქონდა 14 ზარბაზანი, 200 ზამბურაკი. აზატ-ხანმა თავისი რაზმი გააწყო გარნისის ნაპირას. იგი დარწმუნებული

იყო, რომ ერეკლეს მცირე ჯარს გაეღლეტდა და მერე ქართლსაც დაიპყრობდა. თვით ქართველთა ლაშქარში ბევრნი იყვნენ ისეთნი, რომელთაც გამარჯვების იმედი არა ჰქონდათ და მეფეს ურჩევდნენ დაბრუნებას. მაშინ ერეკლემ თავის ჯარს უთხრა: „იტოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები. ამადამ რომ გავიქცევით, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან, და უნებურად სიკვდილს ნამუსიანი სიკვდილი სჯობს. სიკვდილის შვილები ვართ და ჩვენს გვარსა და სახელს ნუ მოვაუგნებთ“.

მეორე დღეს მტერთან საბრძოლველად ერეკლე გავიდა მხოლოდ 1,500 კაცით, აზატ-ხანიც მალე გამოჩნდა. ქართველებმა მტერი რომ დაინახეს, ყველანი, ერეკლეს ბრძანებისამებრ, დაქვეითდნენ. ცხენიდგან ჩამოხტა თვით ერეკლეც და თავის ლაშქარი ასრე დაარიგა: „სანამდინ მე ცხენზედ არ შევჯდე, თქვენ ნურავინ შესჯდებითო და ვინემდის ჩემი თოფი არ გავარდეს, მანამდისინ თოფს ნურავინ გააგდებთო“

შემდეგ ამისა ერეკლე წყნარად გაუძღვა თავის ჯარს. იგი მტრის იმ დასტისაკენ მიდიოდა, რომელიც უფრო დიდი იყო. ქართველნი რომ მიუახლოვდნენ მტერს, აზატ-ხანმა მათ ოთხივ კუთხივ ჯარი შემოახვია: „ყველას ცოცხლებსავე შევიპყრობო“, ჰფიქრობდა იგი. ამ დროს ერთმა წარჩინებულმა ხანმა გამოაქანა ცხენი და იკითხა: „ჰანი ირაკლი ხან (საადა ერეკლე ხანი?). „მე ვარ ერეკლე მეფე“, დასძახა მეფემ ჯ თოფს ცეცხლი მისცა. ხანი გადმოვარდა

ულულოდ, ერთბაშად იჭექეს ქართველთა თოფებმა, პირქვე გაეფინა მრავალი მტერი. აღჯდა ერეკლე ცხენზედ. შეაფრინდნენ ცხენებს სხვებიც. იკრეს ხმალს ხელი და შეუტიეს გაოცებულ მტრებს, რომელნიც ველარ დადგნენ და გაიქცნენ. მეფე და მისნი მხედარნი მიჰყვნენ, დაჰკრეს, კაფეს, სრისეს, გათელეს, გაფანტეს და გააშავეს სახელი გაამაყებულ აზატ-ხანისა, რომელიც არეზს იქით გადიკარგა. გამარჯვებულნი ქართველნი დაბრუნდნენ და შემოალაგეს მტრის ბარგი-ბარხანა: 14 ზარბაზანი, 200 ზამბურაკი თავისის ასის აქლემით, მრავალი დროშა, 3,500 კარავი და უთვალავი რიცხვი საქონელი და ტყვე.

ერეკლეს ომი კრწანისში

ქარიმ ყაენის შემდეგ სპარსეთში დიდი არეულობა მოხდა. ეს არეულობა დასრულდა მხოლოდ 1791 წელს, როდესაც აღა-მაჰმად ხან ყაჯარმა, 80 წლის ხადუმმა, სპარსეთის ტახტი დაიჭირა. ამ ყაენმა შეჰკრიბა 100,000 მეომარი, თოფხანა ფრანგებს ჩააბარა და ადირბეჟანის ხანებსა და ერეკლე მეფეს შემოუთვალა დამემორჩილენით, ხარკი და მზევლები გამომიგზავნეთო. ყაენს ჰსურდა ხანები და ერეკლე მეფე ერთად შეეყარა და მათ წინაშე საყაენო გვირგვინი დაედგა თავისს თავზედ. ზოგი ხანი შიშით დამორჩილდა მას, ზოგმა უარი შეუთვალა. უარი

შეუთვალეს აგრეთვე შუშისა და ერევნის ხანებმა, რომელნიც ერეკლეს მოხარკენი იყვნენ (პირველი ყოველ წლივ იხდიდა 120,000 მან., ხოლო მეორე—200,000). განჯის ხანი ჯავათი, თუმცა მოხარკე იყო ერეკლესი და ყოველ წლივ იხდიდა 50,000 მან., განუდგა მეფეს და ყაენს მიემხრო. ერეკლემაც უკუ-აგდო ყაენის შემოთვლილი. ყაენმა 8,000 მეომარი გამოუსია ერევანს, მაგრამ ეს ჯარი შემუსრა ალექსანდრე ერეკლეს ძემ და განაბნია.

ალა-მაჰმად-ხანი სწრაფის სიარულით მოადგა შუშის ციხეს, მაგრამ იგი ფრიად გამაგრებული იყო და ამიტომ ყაენი აიყარა და განჯით ტფილისზედ გამოეშურა 70,000 მხედრობით.

ყოველივე ეს ისე სწრაფათ და მოულოდნელად მოხდა, რომ ერეკლემ ვერ მოასწრო თავისის მხედრობის შემოკრება. ამ დროს ერეკლეს კაი ძალი ლაშქარი ჰყავდა. თვით ერეკლეს წერილიდგან სჩანს, რომ 16 ივნ. 1795 წელს მარტო თუშ-ფშავ-ხევსურეთში უნდა შემოკრებილიყო 40,000 მეომარი, თეიმურაზ ბატონიშვილის მოწმობით, ალა-მაჰმად-ხანის საბრძოლველად ყოველ ბატონიშვილს თავისს საუფლისწულოდამ უნდა მოეყვანა 10,000 მეომარი. მაგრამ ეს ჯარი ვერ შემოიკრიბა დროიანად. ყაენი 10 ენკენისთვეს 1795 წელს კრწანისის მხრით ტფილისს მოადგა. მაგრამ ამის შემდეგ თუ რა მოხდა, ამის შესახებ სიტყვა დავუთმოთ თანამედროვეს—

ბატონიშვილს თეიმურაზს [1]), ერეკლეს განუყოფელს თანამხლებელს, შემდეგში ბროსეს მასწავლებელს და წევრს სამეცნიერო აკადემიისას.

„...დღესა ორშაბათსა, ათსა რიცხვსა სექტემბრისასა (1795 წ.) ბრძოლა უყო მეფის ძემან დავით მეწინავეთა ალა-მაჰმადისათა ველსა ზედა კრწანისისასა მეწინავითა თვისითა მხედრობითა და ჰყვაცა თვისთანა იმერთა მხედარნი მცირეოდენიცა. და იმყოფებოდა მუნვე იმერეთის მხედართ-მთავარი სახლხუცესი წერეთელი ზურაბ, და სარდალი მემარჯვენე ქართლისა ჯარისა ამილახვარი ოთარი, იოანე მუხრანის ბატონი თავადი მემარცხენე სარდარი, ქიზიყის მოურავი და თავადი ზაქარია ანდრონიკას შვილი. ფრიად მხნედ ბრძოდეს სპარსთა მეწინავეთა და აოტნეს იგინი და მრავალნი სპარსნი მოსრნეს მას დღესა შინა.

ხოლო დღესა სამშაბათსა ია რიცხვსა ენკენისთვისასა განვიდა თვით მეფე ყოვლითა მხედრობითა თვისითა (7,000-მდე კაცითა) ბრძოლად სპარსთა. და დაადგინა მხედრობანი თვისნი დასასრულსა სეიდაბადის ბალისა და განჰყვა იგინი ხუთ ნაწილად:

---

[1]) თეიმურაზის მემუარები ამ ბრძოლის შესახებ იხ. Chronidu Georgienne-ში (ბროსეს 1833 წლის გამოცემა პარიჟში) და იგივე სიტყვა-სიტყვით 1890 წლის „ივერიის“ №№-ებში: 51, 52. 53, 54, 55, 56. არტემ არარატელ ის მოთხრობა შესახებ ტფილისის აოხრებისა და ერეკლეს უნუგეშო მდგომარეობისა შემდეგ ქალაქის დაპყრობისა მოგონილ თხზულებად აღმოჩნდა (იხ. „ნოვოე ობოზრენიე“ 1892 წლ.)-

ა) მარჯვენასა მხარესა დაადგინა შვილის-შვილი თვისი დავით, რომელიცა ზემოთ გზიდ ტფილისიდამ შემოვალს და გზასა მას შეეყრებიან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისანი და ეგრეთვე სეიდ-აბათსაცა საშვალცა გარდმოვლის ყორჩიშვილის კერძო მიყოლით გზაჲ იწრო და შეეყრების იგიცა ქვემოსა გზასა ტფილისისასა. ხოლო შუათა ამათ გზათა და ადგილთა მიდამონი ყოველნივე კლდიერნი, მთიურნი და იწრონი არიან. დასდგა მუნ პირისპირ მტერთა დავით და დასცვნა ყოველნივე გზანი კანონიერად. და აქვდა თვისთანა ნაწილიცა არტილერიისა—ექვსი საშუალო და წვრილნი ზარბაზანნი ცეცხლ სასროლნი.

ბ) მეწინავედ განაწესა მხედრობანი რჩეულნი, რომელთაცა მძღვნად ჰყო შვილის-შვილი თვისი იოანე. მარცხენა კერძი მისცა იოანე მუხრანის ბატონსა.

გ და დ) კვალად ქმნა ორნი სხვანი გუნდნი და დაადგინნა მხედართ-მძღვანად ერისა—მეფის ძე ვახტანგ. მეორე მისცა მძღვანელობასა ქვეშე ამილახვრის ოთარისა და დაადგინა იგინი მახლობელ თვისსა, რათა რომელსაცა კერძსა საჭირო იყოს ბრძოლასა შინა, მიაშველოს მუნ იგინი.

ე) ხოლო იმერთა მხედრობანი იყვნეს მძღვანელობასა ქვეშე ზურაბ წერთლისასა. დასდგეს იგინი მარჯვენით კერძო მეფისა.

ყოველთა მხედრობათა მეფისათა იყვნეს ქვეითნიცა და ცხენოსანნიც, დაწესებულ კანონიერად თვის-თვისთა მძღვანთა ხელის ქვეშე.

მაშინ უბრძანა მეფემან, რათა მეწინავენი იგი მხედრობანი განვიდნენ ხევსა მას, სადაცა სდგა მეფე მახლობელ მისსა მყოფსა და მყისვე მძღვანებითა მეფის ძის იოანესითა განვიდა მხედრობა ველსა ზედა კრწანისისასა, ხოლო მარცხენით კერძო ხევისა მის პირისა, სადათცა მისწვდებოდა ტყვია ზარბაზნისა მტერთა, დაადგინა მუნ არტილერია, და მსუბუქნი ზარბაზანნი იყვნეს ყოველთა შორის მწყობრთა.

ეგრეთვე მეორესა მხარესა მტერთა მხედრობანი განაწყვნა ალა-მაჰმად-ხანმან, რომელნიცა ადგილნი გამოურჩია მათ სარგებლად და დაადგინა მათზედ ათოთხმეტნი სხვანი და სხვანი დიდ-დიდნი მწყობრნი, რომელთა შორის აქვნდეს ზარბაზანი და ზამბურაკნი საკმაონი

ალმოვიდეს მაღალთა ზედა გორათა სოღალუხისა, ყაენებადისა, თელეთისა, კრწანისისა და გარემოთა მისთასა მხედრობანი სპარსთანი და მომართეს მხედართა ქართველთასა. მაშინ მოიგონა ღონე საკვირველი ალა-მაჰმად-ხანმან: ჰყვეს მას მარადის თავისთანა განუშორებლად მხედარნი შინაგანთაგან თურქმანთა, მომიზდულნი კაცნი ექვსი ათასნი, რომელნიცა არა ეგრეთ მოყვარე არიან სპარსთა და არცა სპარსნი მათნი არიან მოყვარენი, არამედ სძულთ მათ ფრიად ურთი ერთი... (ამათ დაავალაო ყაენმა დახოცვა მათი, რომელნიც ბრძოლის ველს გამოექცევიანო).

„იწყეს ბრძოლა დილასა შუალამიდგან მეშვიდესა ჟამსა და ბრძოდეს მეწინავენი მხედარნი მეფისანი საკვირველად. მაშინ მიაშველნა მეფემან კვალად ძე თვისი ვახტანგ მეწინავეთა მხედრობათა და სხვათაგანცა გუნდთა აღმორჩეულნი მებრძოლნი. შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მაღალთა მათ კლდიერთა გორათა და მთათა ზედა და ბრძოდეს მათ ესრეთითა სიმხნითა, რომელ კნინღადა მისდრიკნეს მხედრობანი სპარსთანი სივლტოლად.

კვალვდ მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღოლად თვისად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზანდრად უხმობენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი, და ესე იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილი. იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაცა სახელსდებენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა ტფილისელთასა მტერთა მიმართ, და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსა ლხინსა შინა დაუკვრენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდგან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა. მბრძოლნი ესე იყვნეს მკვირცხლნი და მიმართეს ქვეითთა ამათ და ბრძოდეს მტერთა ფიცხელად და შველოდა გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა არაგველთა და ქიზიყელთასა. და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ

და მიაწივნეს ვიდრე დროშებამდე აღა-მაჰმად ხანისა
და მოსტაცნეს დროშანი რაოდენნიმე მხედართა აღა-
მაჰმად-ხანასათა და მრავალნი სპარსთაგანნი მოსწ-
ყვიტნეს წინაშე მისსა. იხილა-რა აღა-მაჰმად-ხანმან
სიმხნე ესე ვითარი ქართველთა მხედრობისა, განუ-
კვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყრმითგან ჩემით,
ვიდრე აქამომდე, დამიყოფიეს ბრძოლას შინა და
+ არასადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ესე კა-
ცნი ჩემდა მიმართ ჰყოფენ ბრძოლასა".

ამათ ყაჯარმა შემოახვია დასვენებული ურიცხვი ჯარი, ესენი იბრძოდნენ სიმხნითა უალმატებულესითა, გასწირნეს თავნი თვისნი და შეიწირნეს მსხვერპლად საყვარელისა მამულისა და წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად დასთხიმს სისხლნი თვისნი.

იხილა-რა მეფემან სიძნელეი ესე ბრძოლისა, რაოდენნიცა ძალ-ედვა და ჰყვეს მხედარნი, მიაშველნა. უმრავლესნი და კნინლა სრულიად მოსწყვიდნებოდეს და მცირეოდენი-ღა განერინის. გაგრძელდა ბრძოლა ესე დილისა დაწყებიდგან შვიდის ჟამით ვიდრე საღამოს მეხუთის ჟამამდე. თუმცა-ღა მეფესა კვალად არა ნებავდა უკუნ ქცევა, არამედ მახლობელთა მისთა მოახსენეს რჩევით, რათამცა მოარიდოს მეფემან და თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელსა. ეტყოდეს მეფესა: „უწყის ყოველმან სკიპტრისა თქვენისა ქვეშ მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი რომელ არა რიდებთ თავსა თქვენსა სიკვდილსა ერისათვის შენისა და მსხვერპლი ექმნები

მამულსა საყვარელსა, მაგრამ თუ სადამე გეწიოს შენ ძვირი ანუ ბოროტი რაჲმე, უმეტეს განლაღდენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა.“ თუმცა-ღა მოახსენებდეს მეფესა ესრეთ, გარნა კვალად იმყოფებოდა მუნვე.

ხოლო მხარესა მას, რომელსაცა სდგა მეფის ძე დავით, ოდეს იგი იბრძოდეს სპარსნი და ქართველნი ურთიერთსა, აღა მაჰმად-ხანმან მიგზავნა მას ზედა მხედრობა ცხენოსანნი სამი-ათასი რჩეულნი მებრძოლნი, არამედ ჰსძლო მათ მეფის ძემან დავით და იოტნა იგინი ვიდრე მხედრობამდე სპარსთა და თვით ეგრევე სცვიდა მითვალულსა მისსა მხარესა. მაშინ სპარსთა შეუკრეს გზანი უკანით კერძო მეფის ძეთა ვახტანგ და იოანეს, რათამცა შეიპყრან იგინი. მაგრამ სიბრძნითა თვისითა განაპნეს მათ მხედრობანი მტერთანი და ესრეთ მოვიდეს მეფისა მიმართ დაშთომილითა მათისა მხედარითა, რომელთაცა მოეწყვიდნეს მრავალნი სპარსთაგანნი და თვით მეფის ძენიცა განბასრულ იყვნენ სრულიად სისხლსა შინა. მაშინ მოეახლნენ სპარსნი, სადა იგი იყოფოდა მეფე და მომართეს აღმატებულითა ძლიერებითა და კნინ-ღადა მოჰკვლიდეს მეფესა ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შვილის-შვილი ამ მეფისა იოანე არა იყომცა მუნ. ეკვეთა მეფის ძე იოანე მახლობელ პაპისა მისისა მოსულთა სპარსთა და უკუნ აქცივნა და განარინა ხელთაგან მათთა მეფე. ვითარმცა იხილა აღა-მაჰმად-ხანმან უკუნქცევა მეფისა, მოუწოდა მყისვე

სხვათა ჯართა შესვენებულთა თვისთა მხედრობათა და მიმართა მეფესა და შეუდგა უკანა დიდისა ძლიერებითა და თუმცა ტფილისის ციხით ჰსცემდეს ზარბაზნებითა მხედრობასა სპარსისა, ვინაიდგან აღალუა ვინმე უფროსთაგან ტფილისის ციხისა ფრიად მხნედ იყო მას ჟამსა შინა და ზევითგან მაღალთა მათ მთათა კლდიერთა ზედა მდგომრისა ტფილისის ციხით სეიდაბადის გარდმოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს, და მრავალნი სპარსნი აღწყვიტეს, არამედ შემოვიდეს ტფილისსა შინა, რომელიცა ყოვლითურთ განუმაგრებელ იყო. არცა იყვნეს მხედრობანი მას შინა, არცა მოქალაქეთა ერნი სრულიად ქალაქისა მის. და ოდეს შემოვიდა მხედრობა სპარსთა ქალაქად, მეფე განვიდა ქალაქის ხიდსა ზედა ავლაბრისასა და განემგზავრა არაგვისა კერძოსა.

მოსწყდეს მის ბრძოლასა შინა სპარსნი უმეტეს რვა ათასთა, *) ხოლო მხედრობისაგან მეფისათა მცირეოდენ-ღა დაეტევნეს. ხოლო თავადთაგან მეფისათა მოსწყდეს თავადი აბაშიძე იოანე, ძე ნიკოლოზ დიამბეგისა, რომელიცა იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოთი, თავადი გურამიშვილი გიორგი ქუმელად სახელდებული და ესე იყო ერთი უპირველესი მოხელეთაგანი არტილერიი-

*) და სულ-კი 13,000 სპარსთა მხედარი მოკლულ იქმნა ქართველთა ჯარისა და მოქალაქეთაგან.

სა და მეცნიერი არტილერიისა ხელოვნობის, მოიკ-
ლა მუნვე გაბრიელ მაიორი არტილერიისა, კაცთ-
ფრიად მხნე და განსწავლული. ესენი ფრიად საყვა-
რელ და პატივცემულ იყვნეს მეფისა. ესენი ყოვ-
ლითა მოზარბაზნეებითა თვისითა მოსწყდეს ერთობ-
რივ ზარბაზანთა თვისთა თანა, კვალად მოსწყდეს
სხვანიცა ჩინებულთაგანიცა, კაცნი მხნენი. გარდა
მებრძოლთაგანნი ეგეოდენნი მოსწყდეს, რომელ ოდეს
განვიდა ტფილისით მეფეჲ, გაჰყვეს უკვე მხოლოდ
კაცნი ვითარ ას-ორმოც-და-ათნი და უმრავლესნი
მათნი იყვნეს დაკოდილნი. ხოლო ოდეს განვიდა
მეფე ტფილისითა, განუტევა მეფე იმერეთისა სო-
ლომონ სამეფოდ თვისად. იბრძოლეს მხედრობათაცა
მისთა მტერთა მიმართ სახელოვნად. არამედ უკანას-
კნელ, ოდეს იგი მეფე სოლომონ წარემართა გზასა
თვისსა, მაშინ უცნობად მისსა განეყვნეს მის მხედ-
რობისაგან კაცნი რაოდენნიმე; ჰგონებდა წინარე
წარსვლასა მათსა, გარნა დაადგრენ იგინი ადგილსა
დაფარულსა უკანით და ოდეს განეშორა მათ მეფეჲ,
იწყეს მათ ავაზაკებრივ მოქმედებაჲ.

მეფის ძე დავით გუნდითა თვისითა ჰსდგა მას-
ვე ადგილსა ვიდრე მახლობლად ჟამადმდე მწუხრისა
და რავდენ გზისცა მივიდეს მას ზედა სპარსნი, მარა-
დის სძლია მათ და უკუნაქცივნა, ხოლო იხილა-რა,
რომელ აღივსო ტფილისი მხედრობითა სპარსითა და
მეფეცა განვიდა ტფილისით, მაშინ იძულებულ იქმნა
იგიცა მიქცევად მთათა მათ კლდიერთა და იწროთა

გორათა და დამალნა ზარბაზანნი იგი, რომელნიცა აქვნდა, ხევსა შინა საგუბრისასა, ვინაიდგან შეეძლებელ იყო განვლად ურემთა გზათა მათგან... და ესრედ განარინნა ზარბაზანნი იგი და არა მისცნა ხელთა შინა მტერთა და ეგრეთ იწროთა გზით განვიდა და განეშორა მტერთა და დღესა მესამესა მივიდა არაგვსა ზედა მთიულეთს პაპასა თვისსა თანა ირაკლის და იყოფოდა მეფისა თანა განუშორებლად ვიდრე მიქცევამდე აღა-მაჰმად-ხანისა.

მეფე ერეკლე, თეიმურაზის თქმით, იდგა კაიშაურთ კარს. მასთან იყო მისი სახლობა და დიდი მხედრობა. ბატონიშვილები გიორგი და იულონ ქიზიყსა და ქართლში აგროვებდნენ დიდძალს ჯარს, რადგან მეფე ემზადებოდა შებმოდა მტერს, თუ იგი არ დაუბრუნდება ტყვეებს და არ აუნაზღაურებდა ზარალს, ტფილისის აოხრებისა გამო მოხდენილს. მეფე ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანს დესპანად გამოუგზავნა კენკია ავალიშვილი და ითხოვა ზავი და ტყვეთა დაბრუნება, აღა-მაჰმად-ხანს ძლიერ იამა, დიდად დაასაჩუქრა დესპანი და აღუთქვა მეფეს მოთხოვნილის აღსრულება, ხოლო ითხოვა მზევლად ერთი მეფის ძეთაგანი და ანუ შვილის-შვილთაგანი. ერეკლემ მზევლად ამოირჩია ბატონიშვილი დავითი. მაგრამ ეს ზავი ჩაიშალა განჯის ხანის ჯავათის ვერაგობით, ამან შეატყობინა ყაენს, რომ ერეკლეს დიდძალი ჯარი მოუგროვებია და აპირებს მოულოდნელად თავს დაგვესხას და ამოგვწყვიტოსო. აღა მაჰ-

მად ხანი მაშინვე აიყარა და მსწრაფლის სიარულით განივლტო და წავიდა სპარსეთს. ერეკლე ეჭვ მოკლულ იქმნა ლალატით. მას თავი მოჰკვეთეს მისმავე ხელის მოსამსახურეებმა და ეს მოკვეთილი თავი წაიღეს ჭარს. ჭარელებმა ყაენის თავი მიაბარეს მიწას. ყაენის გაქცევის შემდეგ ერეკლემ გამოგზავნა ტფილისს ბატონიშვილები ქალაქის ასაშენებლად.

განჯის ალება *)

ოდეს მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა ძის ძეჲ თვისი დავით მეწინავეთა მხედრობითა განჯასა ზედა და შეუდგინა მას კვალად სხვათა მხედრობითა ძე თვისი ალექსანდრე. და მივიდნენ ესე მეფის ძენი განჯას და აღიღეს ქალაქი განჯაჲ წელსა 1796-სა, აპრილის 3-სა, დღესა ხუთშაბათსა.

მაშინ იბრეიმხან ყარაბაღისა მოსრულიყო მახლობლად განჯისა და სდგა ქურაქჩაისა მდინარესა ზედა, რომელი შორავს განჯას ორისა მილითა, ე. ი. ათოთხმეტის ვერსითა. ხოლო ჯავათხან, — ვინაიდგან სასახლეცა თვისი აქვნდა ციხესა შინა და ყოველნი სახლეულობანი მისნი ჰყვეს მისთანა, განამაგრნა მან ციხეჲ. ჰყვეს მას მეციხოვნენი გამოც-

---

*) თანახმად თეიმურაზ ბატონიშვილის მოთხრობისა.

დილნი და გულოვანნი და აქვნდა საჭმელთა სიმრავლე და სახმართა ყოველთავე ციხისათა ადრიდგანვე მზადებულნი. გარე შემოზღუდნეს ციხეჲ მხედრობამან მეფის ძეთამან. ხოლო იხილა-რა ხანმან ყარაბალისამან იბრეიმ ესე, მოვიდა და დასდგა ერთ კერძო გარე ქალაქისა განჯისა, ადგილსა, რომელსა ეწოდების იმამზადა. და არა მოვიდეს ესენი ბრძოლასა ზედა ციხისასა, ვინაიდგან იყვნეს ყარაბაღელნი ყოველნივე ცხენოსანნი მხედარნი და არა მკვირხცლნი და არცა აქვნდათ მათ ზარბაზანნი.

და ვითარცა იხილა განჯის ხანმან სიმცირე მხედრობისა მეფის ძეთა,რომელთაცა შემოეზღუდათ ციხეჲ, იდუმალისა კარითა გამოვიდა იგი ციხით განთიადისა ჟამსა და ზედა დაესხა მხედრობათა მეფის ძეთა. მაშინ აღმხედრდეს მეფის ძენი და მიმართეს მტერთა, ჰსძლეს და შეიპყრნეს იგინი ლტოლვილნი ციხესა შინა და შეიპყრეს მათგანნი კაცნი სამასნი და რომელნიმე მათგანნი იყვნეს ლეკნი, მათგანნი, რომელნიცა მოეყიდნეს ჯავადხანს და ჰყვეს ციხესა შინა თვისსა თანა. ხოლო ესე ძლევაჲ მეფის ძეთაგან განჯელთა იქმნა მაისის 9-სა დღესა შაბათსა. ვალად სწორსა ზედა მის გამარჯვებისასა მაისის ათექვსმეტს, გამოუხდეს ციხით უმრავლესნი მხედრობანი და ლეკნიცა მათ თანა. მაშინ დღესა მას ძლეულ ჰყვნა იგინი მეფის ძემან დავით მცირედითა მხედრობითა თვისითა და მოიკლა ბრძოლასა მას შინა არზუმან ვინმე ჩინებული გულოვანი ერთგული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიდად საყვარელი ჯავადხანისა და მხედართ-მძღვა-
ნი მისი. ესე არზუმან იყო სომეხი გვარიფა და სარ-
მუნოებითა და იყო იგი ყარაბაღელთა სომეხთაგანი,
გარნა ადრიდგანვე მცხოვრები ჯავადხანისა თანა.
ხოლო ესე არზუმან მოიკლა ეგლითა მეფის ძის და-
ვითის ბავრაყის მტვირთველის (ალამდარის) გივისა
მიერ, რომელიცა იყო გვარეულობითა ჩინებულთა
ოსთაგან და ესე იყო სიყრმითგანვე აღზრდილი მე-
ფის ძესა დავითსა თანა. და გამოჩინებული გულო-
ვანი იყო ესე. მას დღესა განჯის ციხით გამოსრულ-
თა მათ მებრძოლთაგანნი მრავალნი მოსწყვიტნეს და
შეიპყრნეს ცოცხალნი მხედრობამან მეფის ძისამან.
და დაშთომილნი მათგანნი სირცხვილეულნი შეივლტ-
ნენ ციხესავე შიგა. ხოლო ამას შემდგომ ვიდრე თი-
ბათვის ნახევრამდე ათექვსმეტ გზის მოუხდათ ბრძო-
ლაჲ მეფის ძეთა მხედრობასა და განჯელთა და მა-
რადის იძლივნეს განჯელნი. და მოიკლა მელიქ მან-
ჯუმ, რომელიცა იყო სომეხი, მელირთაგან ჩალაბ-
ირთისათა.

ამას შინა მოვიდა ყოვლითა მხედრობითა თვი-
სითა მეფე ირაკლი და ჰყვეს თანა ძენი თვისნი,
პირმშო და მემკვიდრე გიორგი და ძის ძენი იოანე
და ბაგრატ. აქვნდეს კახთა მხედრობასა ურემნი მრა-
ვალნი საზრდოჲთა აღსავსენი და კაცნი მებრძოლნი
ფრიად რჩეულნი. და აქვნდა სახილველობა მხედ-
რობასა მას და ურემთა მათთა ფრიად ზარის საცე-
მელი მტერთა. ურემნი მათნი იყვნეს დიდ (ვითარცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არს ჩვეულებისამებრ) და ყოველსა ურემსა ებნეს თვითოეულსა ოთხ-ოთხნი კარნი ან კაბბეჩნი და თვითოეულსა ურემსა ზედა იყვნეს კაცნი ოროლნი თოფისანი და სრულიად ყოვლითა საჭურველითა მკვირცხლითათა შეჭურვილნი. ხოლო ურემნი იგი იყვნეს ვიდრე რვა ათასამდე (8,000). და აქვნდათ ურემთა ზედა ყოველნივე საჭურველნი მოსახმარებელნი ციხისა აღებისათვის და იარაღნი. და გარდა ამისა ჰყვეს მეფესა სხვანიცა კვალად უმეტესნი მხედარნი ქვევითთაგან და რჩეულთა მხედრობათა ცხენოსანთანი მრავალნი.

ურემთა მათ აქვნდათ განწესებაჲ თვისი—თუ ვითარ და სადა, რომელსა კერძოსა შემთხვევისამებრ წინაალმდგომისა და ადგილისა დასდგებოდეს იგინი ბრძოლისა ჟამსა და თვითოეული კაცი ურმისა მის წარვიდოდეს ბრძოლად პირის პირ მტერთა. ხოლო თვითოეულ დადგრებოდა ურემსა თვისსა და ოდესცა დაშვრებოდეს ბრძოლისაგან ბრძანებისამებრ მხედართ-მძღვანთა თვისთათა მოიქცეოდეს ურემთა მიმართ და სხვანი შესვენებულნი ურემთა მყოფნი მივიდოდეს ბრძოლად. გარნა არცა ერთსა მებრძოლთაგანსა ძალ ედვა თავით თვისით მიქცევა ანუ უკუქცევაჲ თვინიერ ბრძანებისა უფროსთა თვისთა მაშინ, ოდესცა უბრძანებდეს მათ მხედართ-მძღვანი. ხოლო ბანაკთა შინა აქვნდათ იგი გარემო ბანაკისა—გარემო მოხვეულნი, ვითარცა ზღუდე რაჲმე და ზედა დასხმისაგან მტერთასა არა რაჲმე აქვნდათ შიშნი

ამისთვის ინება მიტევება, რათა არა მოწყვეტილ იქმ-
ნენ მხედრობისაგან მისისა. თუმცა-ღა მიუტევა მას,
გარნა არა ინება წარდგინებაჲ ჯავად-ხანისა თვის
თანა და არცა მიუშვა იგი წინაშე მისსა, არამედ
დასდვა მას ხარკი ვითარცა პირველ და გამოართვნა
ტყვენი ტფილისისანი, რაოდენიცა იყვნეს განჯასა
შინა ანუ ჯავად-ხანის მიერ წარყვანილნი, ანუ გას-
ყიდულნი მისგან მხედრობათა სპარსთაგან, ანუ გან-
ჯელთაგან გასყიდულნი და წარყვანილნი ყოველნი-
ვე უკლებლად გამოართვნა, ხოლო იყვნეს ტყვენი
ტფილისისანი უმეტეს ათასთასა. კვალად მიუხვნა
ნივთნიცა იგი, რომელნიცა წარეღოთ ანუ მოესყი-
დათ სპარსთაგან ჯავად-ხანს ანუ განჯელთა ტფი-
ლისით. და რაჲცა წარეგო მეფესა ლაშქრობასა მას
ზედა, ანუ ხანსა ყარაბაღისასა, იგიცა აღზევა მეფე-
მან. გარნა ვინაიდგან სრულად არა ძალ-ედვა მას
მიცემა რომელნიმე აპატივა მას და ესრეთ მოიქცა
მეფე და განუტევა ხანი ყარაბაღისა სახლად თვისად
მრავლითა ნიჭითა და საბოძვრითა და ეგრეთვე ჩი-
ნებულნი მისნი და ფრიადისა მადლობითა წარვიღა
იბრეიმ ხან. ხოლო მეფე ყოვლითა მხედრობითა თვი-
სითა მოიქცა ძლევა-მოსილი ტფილისად და ანიჭნა
მხედრობათა თვისთა, რომელნიცა ღირს იყვნეს სიმხ-
ნისათვის მათისა ჯილდონი და წყალობანი მრავალ-
ნი. მცირედ ჟამ დაჰყო მეფემან ტფილისს და მიიქ-
ცა კახეთადვე — თელავს, სადა იგი ჰყვეს თვისნი სახ-
ლეულობანი.

ვითარცა მიეხალა მეფე განჯას, მოეგება მეფესა იბრეჰმ-ხან და მიიღო იგი მეფემან მისაბაჰითა პატივისცემითა და შეიტკბო იგი ფრიად. ხოლო ვითარცა იხილა იბრეიმ-ხანმან ესეოდენი ძლიერება და დიდებული მისვლა მეფისა, დაუკვირდა ფრიად, და ვითარცა მძრწოლარე, ეგრე იქმნა ხილვასა მას ზედა მეფისა და მხედრობათა მისთასა. მაშინ მოიკითხა მოწლედ მეფემან იბრეიმხან და ნუგეშინი სცა მას მასზედა, ვინაიდგან მრავალი წაუხდა მოსავალზედა აღა-მაჰმად-ხანისასა ხანსა მას ყარაბაღისასა და ანიჭნა ნიჭნი მდიდარნი მეფემან, ვინაიდგან ნაკლულევან იყო ფრიად მას ჟამსა ხანი. მიბრძანდა განჯას მეფე და შთამოხდა.

ველარა იკადრეს მაშინ განსვლად გარე ციხისა მხედრობამან და მეციხოვნეთა ჯავად-ხანისთა. რადგან შემოზღუდეს და აიწრეს ფრიად მხედრობამან მეფისამან ციხესა შინა მყოფნი და განმზადნეს პატნეზნი და კიბენი და ყოველნი სახმარნი ნივთნი აღებად ციხისა. მაშინ ევედრა მეფესა ფრიად ჯავად-ხან მიტევებასა ბრალთა მისთასა და შემდგომად მრავლისა ვედრებისა და შუამდგომელობისა მოდრკა მეფე მოწყალებად ერთ-კერძო სიბრალულთა განჯის მცხოვრებთათა. ვინაიდგან განდიდნა სენი სიცხისა მიერ და იწროებისა ციხესა შინა შემწყვდეულთა და დღი დღე იხოცებოდეს მცხოვრებნი მას შინა ურიცხვნი. და ვინაიდგან დედა-წულნიცა იყვნეს მრავალნი მათგანნი, შეეწყალნა იგინი მეფესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ჯავად-ხან დაშთა ციხესავე შინა განჯისასა. არღა-რა დაშთა მას სრულიად განჯასა სამ ზღვარსა შინა არცა ერთი-ღა სოფელი შენად. აღუოხრდა ქალაქი მისი სრულიად. ციხესა შინა მისსა ჟამსა მას გარე-მოდგმისა მეფისასა მოსწყდეს სენისაგან მცხოვრებთაგან განჯისთა ათი-ათასი სული. მიელო (მას ჯავად-ხანს) ნივთნი იგი, რომელსა ზედაცა აქვნდა მას სასოება, და ესრეთ ყოვლითურთ განწირულებასა შინა მიწევნილსა, ვერღარა რაჲსამე მწე ექმნა ალა-მაჰმად-ხან, ვერცა-ღა სპარსნი და ვერცა-ღა სხვანი მახლობელნი მისნი და სინანულსა შორის იყოფოდა იგი.

მეფე ერეკლეს სიკვდილი

შემდგომად დასნეულდა მეფე ირაკლი. სენი მეფისა იყო წყლით მანკიერება.

შემდგომად არა მრავლისა ჟამისა მოვიდა სენი მომსრველი ტფილისს, რომელსაცა ქართველნი ჭირსა უხმობენ. მაშინ, ვითარცა არს ჩვეულობა ტფილისისა ერისა, გინა სხვა მცხოვრებთა საქართველოჲსათა, რომელ თუ სადმე მოვალს სენი მომსრველი, მოერიდების ერი და განვლენ ქალაქით დედაწულითურთ, გარე ქალაქისა მთიელთა ღა კეთილთა ჰაერთა ქვეშე და იყოფებიან მუნ და ოდეს შემსუბუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიან მცხოვრებნი ქალაქისანი, ამისთვის სენი არა ხანგრძლივ დაადგრების ამისთვის ბრძანებითა მეფის პირითა განვიდეს მცხოვრებნი ტფილისისანი გარეგმოთა ტფილისისათა შორეულთა ლ კეთილ-ჰაეროვანთა ადგილთა. ხოლო მეფის ძემან მემკვიდრემან გიორგი წარავლინნა სახლეულობანი თვისნი ქსნის ხეობასა ზედა, მცირესა ქალაქსა თვისსა ახალგორს, და თვით წარვიდა თელავს, წინაშე მამისა თვისისა, ვინაიდგან მას ჟამსა მიიღო წერილი მამისა თვისისა, რომელსაცა ეხმო თვისთანა.

წელსა 1798, იანვრის 5-სა, ესრეთ შემძიმდა მეფე სენითა ამით, რომელ საგონებელ იყო სიკვდილი მისი. გარნა შემდგომად სამისა საათისა, რომელსაცა ვითარცა მკვდარი იდვა სარეცელსა ზედა თვისსა, მახლობელ მწუხრისა ჟამისა კვალად მოეგო თავსა თვისსა და განცოცხლდა. და ესეოდენ მხნე იყო იგი მოხუცებულებასა და ეგრეთსა სნეულებასა შინა მყოფი, რომელ შემდგომად ესრეთ დამძიმებულისა მისგან სენისა მობრუნებისა, კვალადცა მსახურთა თვისთა შეწევნითა, რომელნიც უპყრობდეს მკლავთა, აღსდგის სარეცელით თვისით და საჭიროებისათვის ბუნებითისა განვიდის იგი გარეგან სახლისა მის და ეგრეთ მოიქცის საწოლადვე თვისად.

ხოლო მწუხრსა დღისა კვირიაკისასა, რომელიცა განთენდებოდა ორშაბათად, ათერთმეტსა იანვრისა რიცხვად, შემძიმდა ფრიად და განთიად, შუა-

ლამიდგან მეშვიდესა ჟამსა გარდაიცვალა დიდებული სახელოვანი ესე მეფე ირაკლი მეორე, ძე მეფისა თეიმურაზ მეორისა, წელსა განკორციელებიდგან სიტყვისა ღმრთისა 1798-სა, შობითგან თვისით მეოთხმოცესა შინა წელიწადსა, სახლსა და პალატსა მას შინა სამეფოსა, თვით მასვე საწოლსა შინა, რომელსაცა შინა იშვა სახელოვანი ესე მეფე, აღესრულა.

იქმნა უკვე მას ჟამსა შინა დიდი მგლოვარება სახლსა შინა სამეფოსა და ყოველთა ერთა შორის საქართველოჲსათა, ესრეთტყება და მწუხარება, რომელ ყოველი უკანასკნელიცა მცხოვრებთაგანი საქართველოჲსა იგლოვდა უმეტეს ყოველთა მახლობელთაგან თვისთა. და ვგონებ, რომელ ყოველი კაცი უმეტეს ნახევარისა სიცოცხლისა თვისისა იყვნეს დიდისა კმაყოფილებითა, რათამცა ემსხვერპლათ, თუ სადმე შესაძლებელი იყო საყვარელისა მეფისა მათისა სიცოცხლისა ბრუნებაჲ, იგონებდეს მოხუცებულნი სახელოვანთა და გმირულთა საქმეთა მისთა, ჭაბუკნი ჭირნახულისა და კეთილისა და სამამაცოთა ზნითა და უხვისა მოწყალებითა აღზრდასა მათსა; ერნი ზოგად ქველის საქმეთა, მართლ-მსაჯულებათა და მარადის ხსნისათვის მამულისა თავისა თვისისა მსხვერპლობასა მეფისაგან და ღაღადება მათი აღიწეოდა ვიდრე ცადმდე...

შეამკეს უკვე გვამი მეფისა ირაკლი მეორისა ჯეროვანისა პატივისცემითა და იყოფოდა მაშინ კა-

თოლიკოსი მწყემსი სულიერი სრულიად საქართველოჲსა ანტონი მეორე, ძე ამა მეფისა ირაკლისა. და შემოკრბეს სხვანი ყოველნი მღვდელ-მთავარნი სრულიად საქართველოსანი ბრძანებითა კათალიკოსისათა და ყოველნი ჩინებულნი სამღვდელონი და განაშვენეს და აღასრულეს მათ წესი მიცვალებულისა მეფისა. ეგრეთვე დედოფალნი მგლოვარებისა წესსა აღასრულებდეს: მეუღლე მეფისა ირაკლისა დედოფალი დარეჯან და სძალი მისი დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგისა, და სხვანი წევრნი სამეფოჲსა სახლისანი, ხოლო ძეთაგან მეფისათა არავინ ყოფილა მუნ თვსნიერ ვახტანგისა. და ასულნი მეფისანი, სახლეულობანი მეფისა გიორგისანი და ვიეოფოდი მეცა თვით ადმწერელი ამა მოთხრობათა მეფის ძე ოეიმურაზ ჯერეთ სიყრმისა ასაკსა მყოფი მუნ, რამეთუ მზრდიდა მე ბაბაჲ ჩემი მეფე ირაკლი და განუშორებლად ვიეოფოდი მისთანა და ფრიადი სიყვარული აქვნდა ჩემი, ვინაიდგან სიჩჩვილესავე შორისა ჩემისასა სახელ-მსდვა მე სახელი მამისა თვისისა და ოდეს იეოფოდა მეფე ვიდრე სნეულებასა მას შინა, ვმსახურებდი მას, ძალისამებრ ჩემისა და ასაკისა...

ღღესა ორმეოცსა ესვენა გვამი მეფისა ირაკლისა თელავს რადგან მოვიდოდიან კახეთით, ქართლით და ყოველთაგან სამეფოთა მისთა დედა-წულითურთ მცხოვრებნი და ჰყოფდეს იგინი გოდებასა და ტყებასა დიდთა გვამსა ზედა მისსა. ყოველნი თვითეულნი გვარნი მცხოვრებნი ქართველნი კავკასიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთათაგანნი და თათართაგან საქართველოისათა და სხვათაგან ყოველთაგან ადგილთა მოვიდოდიან და ჰყოფდენ გლოვასა წესისამებრ მათისა.

ხოლო დღესა ოცსა ესვენა გვამი იგი მომკვდარისა მეფისა სამეფოსა პალატსა შინა. და შემდგომად ოცისა დღისა განმზადნეს მონასტერი კელით ქმნულისა ხატისა მდგომარე ციხესა მას, რომელსაცა შინა მოსახლეობენ თავადნი ყორჩიბაშიანნი, ვინაიდგან მუნით უმარჯვე იყო წასვენებად მცხეთად და დიდისა დიდებითა მიასვენეს მუნ, უკუ უდგეს მცხედარსა მისსა სახლეულებანი მეფეთა და ყოველნი წარჩინებულნი, გლოვითა დიდითა. და მახლობელ მონასტრისა მის, პირველვე მომზადებულსა კათედრასა ზედა, დაასვენეს გვამი იგი. და იტირეს მუნ კმითა მოთქმითა და ზარისა თქმითა.

ხოლო მოვიდა დედაკაცი ვინმე მაშინ ქიზიყისა მცხოვრებთაგანი, ქვრივი მოხუცებულებისა ასაკსა მიწევნილი; თუმცა-ღა იყო იგი მდაბიოთა ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა. იწყო ამან კმითა მაღლითა ტირილად. და ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა ტირილსა მას შინა მოიღებდა თვითოეულთა ლირს-სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მათ უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ. და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან დედაკაცმან ესრეთ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა... ფუძეალ ძმა ვალთა იტირეს გვამი მეფისა შესაბამად, გარნა ორნი მათ შორის აღემატნეს სხვათა: ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომელიცა იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი და მეორე ქვრივი იგი ქიზიყელი, რომელიცა წინარე მოვიხსენიეთ.

ხოლო შეიღეს გვამი მეფისა ეკკლესიასა შინა და დაასვენეს მუნ ოც დღე, ვიდრემდის განმზადებდეს ყველა საჭიროებასა დაფლვისასა. და წარიღეს მუნით და დაფლეს დიდითა დიდებითა სასაფლაოსა მეფეთასა, რომელიცა არს უპირველესი კათოლიკე ეკკლესია სრულიად ივერიისა მცხეთა, სადაცა არს კათედრაცა კათალიკოსთა სრულიად მწყემსთა საქართველოჲსათა და დაფლეს მუნ, მარჯვნით კერძო შინაგან დიდისა მის ეკკლესიისა, ქვემორე პირისპირ ხატისა მაცხოვრისა მეფისა ქრისტე მხსნელისა ჩვენისა...